

## შავი ზღვის კოლხეთის სანაპირო ზონის ეკოლოგიური მდგომარეობა

*გიორგი ბერიძე*

ელ.ფოსტა: [giorgi.beridze351@ens.tsu.edu.ge](mailto:giorgi.beridze351@ens.tsu.edu.ge);

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

საქართველოს შავიზღვისპირა ტერიტორიაზე ორი გარემოს, ზღვისა და ხმელეთის ურთიერთზეგავლენისა და კლიმატის ცვლილების ფონზე ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგენური დატვირთვა საგრძნობლად აღემატება გარემოს მდგრადობის პოტენციალს, რაც ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ეკოლოგიური წონასწორობის მკვეთრ დარღვევას იწვევს. გამორჩეული ადგილი ამ მხრივ კოლხეთის ზღვისპირა ტერიტორიას უკავია, სადაც სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ტერიტორიების ათვისება საპორტო ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და სამოქალაქო განსახლებისათვის. აქ ერთის მხრივ უკვე ტრადიციულ ცვლილებას, რაც გამოიხატება ჩამდინარე მდინარეების ენგურის და რიონის დარეგულირებით, დაემატა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები ანაკლიის და ყულევის პორტების მშენებლობა, ფოთის პორტის გაფართოება, სუფსის ნავთობტერმინალის ექსპლოატაცია, და თუ ამას დავუმატებთ კლიმატის ცვლილების გამო ზღვის წლის დონებრივ ცვალებადობას და ნაპირების აბრაზიას ცხადი გახდება საზღვაო გარემოზე ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენის ფორმები და მასშტაბები.

საქართველოში ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების იმპლიმენტაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივა. (The Marine Strategy Framework Directive –MSFD) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ევალემატ საზღვაო სტრატეგიის განვითარების და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისას იხელმძღვანელონ ეკოსისტემური მიდგომით და დირექტივის იმპლემენტაციის ყოველი ეტაპი აუცილებელია განხორციელდეს რეგიონალურ კოოპერაციაზე დაყრდნობით;

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კოლხეთის სანაპირო ზოლის თანამედროვე ბუნებრივი პირობები, ეკოლოგიური მდგომარეობის ცვალებადობის გამომწვევი მიზეზები ანთროპოგენური დატვირთვების ფორმები და მასშტაბები. მდინარეების რეგულირება, საპორტო ინფრასტრუქტურა და მისი გავლენა სანაპირო ზოლის თანამედროვე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.